სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 071
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272401
Pგანათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

II კორპუსი, II სართული, დეკანატი–ოთახი №27

ტელ.: 0350 27-11-76; E-mail: edu.faculty@tesau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილები**
პროფესიული განათლების საფეხური	III
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	პროფესიული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი.
სწავლის ხანგრძლივობა	32 კვირა
ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა	45 krediti
პროგრამის ხელმძღვანელი	ნუგზარ ძამუკაშვილი; 599- 198- 192
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	. ქსოვის ხელოვნება უხსოვარი დროიდან იყო გავრცელებული საქართველოში, საქართველოს მდიდარი საძოვრები ხელს უწყობდნენ მეცხვარეობის განვითარებას. თითქმის ყველა კუთხეს ჰქონდა ხალიჩებისა და ფარდაგების დამახასიათებელი ორნამენტი და კოლორიტი. ხალხური შემოქმედების ოსტატები თაობიდან თაობას გადასცემდნენ ქსოვის და ღებვის ტექნიკას, კოპოზიციის და ორნამენტის აგების წესებს, მათ ფერში გადაწყვეტის ხელოვნებას. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ხალხური ხელოვნების და მისი ტრადიციების აღდგენა-შენარჩუნებას, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას და ტურიზმის განვითარებას. პროგრამის მიზანია პროფესიული სტანდარტის შესაბამისად მოამზადოს დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება შეარჩიოს ქსოვის კონკრეტული მეთოდი და საჭირო ინსტრუმენტები. ვერტიკალური და ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის,

	ქსელისა და მისაქსელის ძაფების საშუალებით შეასრულოს ფარდაგის, ხალიჩისა და გობელენის ნიმუშები, ხლართების ნაირსახეობის, ქსოვის სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით. პროგრამის მიზნები თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მოამზადოს საგანმანათლებლო პროგრამები და ხელი შეუწყოს მათ წარმატებულ განხორციელებას უნივერსიტეტის კედლებში. აღზარდოს სხვადასხვა პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომლებიც ასე სჭირდება ქვეყანას.
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები	იცის ფართო სპექტრის მქსოველის (ფარდაგი, ხალიჩა, გობელენი) სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები და ტექნიკური ხერხები: ჰორიზონტალური დგიმებიანი საქსოვი დაზგის და გობელენის ვერტიკალური საქსოვი დაზგის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები; სამუშაო პალიტრის შედგენა ფერადი ნართის გამოყენებით, ქსელისა და მისაქსელის მომზადება, მარტივი ტილოს ხლართის ჩამოქსოვა გობელენისათვის, იცნობს ხალიჩის, გობელენისა და ჯეჯიმის (ფარდაგის) საქსოვი ნართის ღებვის ტექნოლოგიას; იცის ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე ხალიჩის ქსოვის ტექნოლოგიის ძირითადი ეტაპები, როგორიცაა: ქსელის სიმჭიდროვის განსაზღვრა, მარყუჟის სისქის შერჩევა, საქსოვი ძაფებისაგან პალიტრის გაწყობა და ასევე გობელენის ჩამოქსოვის უნარზე დაყრდნობით ფერთა გამის შედგენა და განაწილება ტექნოლოგიური ცოდნის გათვალისწინებით, საბოლოო პროდუქციის ხარისხიანი შესრულებისათვის. აცნობიერებს ქსოვის ამა თუ იმ კონკრეტული ხერხის მეშვეობით გართულებული ტექნოლოგიური პროცესების ეტაპობრივი განხორციელებისათვის აუცილებელ ნაბიჯებს. იცის სამუშაო გარემოს მოწყობის ძირითადი პარამეტრები
დასაქმების სფერო	ხალხური რეწვის საწარმოები; თვითდასაქმებული; სამხატვრო სალონები და კერძო სახელოსნოები.